საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. თერჯოლა 04.11.2025 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. გიორგი ყაზაიშვილი; 5. გიორგი ბარათაშვილი; 6. იუზა უგრეხელიძე; 7. ჯემალ ისაკაძე; 8. გიორგი თურქაძე; 9. ვლადიმერ მაკარიძე; 10. ეკა ბერძენიშვილი; 11. ერეკლე კირკიტაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 11

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად</u>

სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის

დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282530739 წერილი, 03/11/2025წ)

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი: ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელის განმარტებით, ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილების დანართის ,,დ'' პუნქტში, წარმატებული ახალგაზდის დეფინიაციას წარმოადგენს: ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 26 წლამდე ახალგაზრდა, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს ან საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კულტურულ - შემოქმედებით, ინტელექტუალურ კონკურსში და მოიპოვა აღნიშნული კონკურსის დებულებით განსაზღვრული მთავარი პრიზი ან ტიტული. '' მომხსენებლის შეფასებით, აღნიშნული პუნქტი საჭიროებს დახვეწას და მიზანშეწონილად მიაჩნია წარმატებული ახალგაზრდის განსაზღვრებას დაემატოს კიდევ ერთი კატეგორია, კერძოდ: ,,სასწავლო- საგანმანათლებლო საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობა'', რაც საშუალებას მისცემს სასწავლო-საგანმანათლებლო საერთაშორისო ოლიმპიადაში წარმატებისა და მიღწევების მქონე ახალგაზრდას, რომელმაც მოიპოვა აღნიშნული ოლიმპიადის დებულებით განსაზღვრული პრიზი ან ტიტული, ისარგებლოს დადგენილებით დაწესებული ფულად ჯილდოთი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს ასევე გააცნო მითითებული დადგენილების დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ცვლილების შესახებ, რომელიც ეხება ოლიმპიადაში გამარჯვებული, წარმატებული ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობის გაზრდას 1000 ლარით. კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ცვლილების მიზნობრიობას და განმარტა, რომ ფულადი ჯილდოს ოდენობის გაზრდა მიზანად ისახავს წარმატებული ახალგაზდების წახალისებასა და მათი მიღწევების შესაბამის დაფასებას.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი: არცერთი

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე